k-3 koeficientis aTvisebis dendrologiuri proeqti

proeqtiT gaTvaliswinebuli gamwvanebis koeficienti k-3=0.4
sakadastro kodi: 01.14.06.007.088
miwis nakveTis farTi: 1440.0 m^2
misamarTi: qalaqi Tbilisi, bagebi, wyneTis gzatkecili (nakveTi 04/011).
nakveTis daniSnuleba: arasasoflo sameurneo
mesakuTre: Sps "bagebi" 405330262
k-3 koeficientis saangariSo farTobi k-3=0.4=504.8 m2



arsebuli topogegma



mosaWreli xe mcenaris saxeoba:

#24; vaSli (malus)


saproeqto gen-gegma
k3-is saangariSo kroki k3=0.4= 504.8 m²
504.8 m²
gare ganaTeba
silqnetis
sakomunikacio
kabeli
maRali Zabvis
el. sadeni
4618000
gadasargavi xe mcenaris saxeoba:
#3; #4; #29 kakali (Juglans regia)
#17; #26; #30; #31 diadi boyvi (Acer pseudoplatanus)
#21; #23; Tela mindv ceae galib)
#22; #25; #27 ifani ( )
#28; TeTri akacia (R cia)
SeniSvna: teritoriaze arsebuli da gadarguli mwvane nargavebi srulad iTvisebs k3-is farTs

aqsonometriuli xedi



perspeqtiuli xedi



perspeqtiuli xedi



dendrologiuri proeqti
sainformacio dafa

damkveTi: Sps "bagebi" ID 405330262

saproeqto teritoria:

sakadastro kodi: 01.14.06.007.088

miwis nakveTis farTi: 1440.0 m^2

misamarTi: qalaqi Tbilisi, bagebi, wyneTis gzatkecili (nakveTi 04/011).

nebarTvis gamcemi organo:

q. Tbilisis municipalitetis meriis garemos dacvis saqalaqo samsaxuri

proeqtiT gaTvaliswinebuli gamwvanebis koeficienti:

k-3=0.4=504.8 m^2

dendrologiuri proeqtis SeTanxmebis TariRi- 2019 w.

dendrologiuri proeqtis dasrulebis TariRi- 2022w.

gadasargavi xe mcenaris saxeoba:

#3; #4; #29 kakali (Juglans regia)

#17; #26; #30; #31 diadi boyvi (Acer pseudoplatanus)

#21; #23; Tela mindvris (Ulmus foliaceae galib)

#22; #25; #27 ifani (Fraxinus excelsior)

#28; TeTri akacia (Robinia pseudoacacia)

gaSenebuli xe-mcenareebis movla-patronobaze pasuxismgebeli piri: Sps "bagebi" ID 405330262

gasaSenebeli xe-mcenareebis movlis xangrZlivoba: 3 weli.





მწვანე ნარგავების გადარგვის აგროტექნიკა

• ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

გადარგვის მეთოდოლოგია

• ხე–მცენარის ამოღება:

1. ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობის ხოლო სიღრმე არანაკლებ 1,7 მ. –ის;
2. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
4. ამოღებისას ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით;
5. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);
6. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე კეთდება სპეციალურ შალითა, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;
7. ამოღებამდე ფოთლოვანი სახეობის ხეებს გაუკეთდეს სხვლა- ფორმირება
8. ხის ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ვინაიდან გადარგვის პროცესში კომს არ შეექმნას არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას ან მათგან ნიადაგის მოშორებას;

• ხე–მცენარის გადარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო;
2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
3. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან 3 მ-ზე მეტი დაშორებით.
4. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
5. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
6. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
7. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.
8. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
9. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
10. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
11. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;
3. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
4. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
5. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
6. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს.ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 18 თებერვალი 2019 წ.

მისამართი:
ქალაქი თბილისი, ბაგები,(ნაკვეთი 07/011);

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი;

საკადასტრო კოდი:
01.14.06.007.088 ;

ფართობი:
1440.00 კვ.მ;
მესაკუთრე:
სულიკო სიმაევი P/Nნომერი:01001008644.

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი.

საკვლევი ობიექტი არის რელიეფურად ვაკე . აღწერა შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	კაკალი- Juglans regia	ხე	31	ჯანსაღი	
2	კაკალი- Juglans regia	ხე	29	ჯანსაღი	
3	კაკალი- Juglans regia	ხე	28	ჯანსაღი	
4	კაკალი- Juglans regia	ხე	32	ჯანსაღი	
5	კაკალი- Juglans regia	ხე	43	ჯანსაღი	ორკაპი
6	ჭერამი- armeniáca	ხე	40	ხმობადი	

7	ელდარის ფიჭვი-Pinus eldarica	ხე	23	ჯანსაღი	
8	ელდარის ფიჭვი-Pinus eldarica	ხე	25	ჯანსაღი	
9	ელდარის ფიჭვი-Pinus eldarica	ხე	23	ჯანსაღი	
10	ელდარის ფიჭვი-Pinus eldarica	ხე	23	ჯანსაღი	
11	ელდარის ფიჭვი-Pinus eldarica	ხე	37	ჯანსაღი	
12	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	3	ჯანსაღი	
13	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	3	ჯანსაღი	
14	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	3	ჯანსაღი	
15	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	3	ჯანსაღი	
16	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	3	ჯანსაღი	
17	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	30	ჯანსაღი	ორკაპი
18	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	34	ჯანსაღი	
19	ჭერამი-armeniáca	ხე	16	ჯანსაღი	
20	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	17	ჯანსაღი	
21	თელა მინდვრის-Ulmus foliaceae Galib	ხე	12	ჯანსაღი	მრავლობითი ნაბარტყით
22	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	8	ჯანსაღი	წვერმოჭრილი
23	თელა მინდვრის - Ulmus foliaceae Galib	ხე	11	ჯანსაღი	ორკაპი
24	ვაშლი-Malus	ხე	12	ჯანსაღი	
25	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	16	ჯანსაღი	
26	დიადი ბოყვი-Acer pseudoplatanus	ხე	33	ჯანსაღი	ორკაპი
27	იფანი-Fraxinus excelsior	ხე	10	ჯანსაღი	ორკაპი, მრავლობითი ნაბარტყი
28	თეთრი აკაცია - Robinia pseudoacacia	ხე	9	ჯანსაღი	

29	კაკალი- Juglans regia	ხე	48	ჯანსაღი	გადაბელილი
30	დიადი ბოყვი- Acer pseudoplatanus	ხე	22	ჯანსაღი	ორკაპი
31	დიადი ბოყვი- Acer pseudoplatanus	ხე	22	ჯანსაღი	ხმობადი

სააკვლევ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა **31ძირი** ხე-მცენარეა.

კერძოდ:

1.მაღალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვან სახეობათა ხე-მცენარე 5 ძირი :

5ძირი (№ 7, 8, 9, 10, 11) - ელდარის ფიჭვი(Pinus eldarica)

2.მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 6 ძირი:

6 ძირი(№1, 2, 3, 4 ,5, 29)-კაკალი(Juglans regia)

3.იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე 17 ძირი:

1ძირი (№28) - თეთრი აკაცია(Robinia pseudoacacia);

6ძირი(№17,18, 20, 26, 30, 31)- დიადი ბოყვი(Acer pseudoplatanus);

8ძირი(№12, 13, 14, 15, 16, 22, 25, 27) -იფანი(Fraxinus excelsior);

2ძირი(№21, 23) - თელა მინდვრის(Ulmus foliaceae Galib).

4. ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარეები 3 ძირი:

აქედან 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის **1ძირი:**

1 ძირი(№24) -ვაშლი(Mal

12 სმ-ზე მეტი დიამეტრის **2 ძირი:**

2 ძირი(№ 6, 19) - ჭერამი(Armeniaca vulgaris);

ექსპერტი გიორგი ტივაძე




ხე-ნარგავების ჩამონათვალი, რომლებიც ჭრება საპროექტო შენობის განთავსების არეალში და საჭიროებს გადარგვას (13 ხე):
№4 - ჯაჯალი
№17 - დიადი ბოყვი
№18 - დიადი ბოყვი
№21 - თელა მინდვრის
№22 - იფანი
№23 - თელა მინდვრის
№24 - ვაშლი
№25 - იფანი
№26 - დიადი ბოყვი
№27 - იფანი
№29 - ჯაჯალი
№30 - დიადი ბოყვი
№31 - დიადი ბოყვი
სერვიტუტი
შენობის განთავსების არეალი
R3.0
R3.0

































































ხელშეკრულება №8

ქ.თბილისი 8 მარტი 2019 წელი

მხარეები:

ერთის მხრივ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის **სილიკო სიმაევის (პ/ნ 01001008644)** მინდობილი პირი **ირაკლი კირცხალია** (პ/ნ **01031005361**) შემდგომში წოდებული როგორც **„დამკვეთი“**

მეორეს მხრივ, **შპს „გრიინ ბილდერსის Green BuilDers”** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ცირა ჯაფოშვილის** სახით, ხოლო შემდგომში წოდებული როგორც **„შემსრულებელი“**.

დამკვეთი და **შემსრულებელი** ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც **მხარე,** ხოლო ერთად როგორც **მხარეები**.

1. **ხელშეკრულების საგანი:**
   1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს დამკვეთის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი 07/011) ს/კ: 01.14.06.007.088) არსებული 13 ძირი ხე–მცენარის გადარგვის სამუშაოების შესრულება.
   1.2. დამკვეთი ვალდებულებას კისრულობს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება.

2. **მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ:**
   2.1. მხარეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

3. **მხარეთა ვალდებულებები:**
   3.1. შემსრულებელი ვალდებულია:
      3.1.1. ხარისხიანად და ჯეროვნად განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.
      3.1.2. სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრები.
      3.1.3. აცნობოს დამკვეთს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც აფერხებენ მისი ვალდებულებების დროულად შესრულებას.

3.1.4. რეგულარულად მიაწოდოს დამკვეთს ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

3.1.5. სამუშაოს სრულად განხორციელების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბაროს დამკვეთს შესრულებული სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

3.2. დამკვეთი ვალდებულია:

3.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან წინამდებარე ხელშეკრულების ანგარიშსწორების წესის შესაბამისად.

3.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიიღოს შესრულებული სამუშაო.

4. სამუშაოს შესრულების ვადა:

4.1. შემსრულებელი 1.1 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას უზრუნველყოფს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. სამუშაოს შესრულებისა და დამკვეთისთვის გადაცემისთანავე მხარეებს შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

5.1. სულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს **6 000 (ექვსი ათასი)** ლარს გადასახადების ჩათვლით.

5.2. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. განსაკუთრებული პირობები:

6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ სადაო საკითხებს გადაჭრიან ურთიერთშეთანხმებით და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

6.2. თითოეული მხარე ვალდებულია, უპირობოდ და სრულიად აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით - ვალდებულებათა შეუსრულებლობით, არასრული/არაჯეროვანი შესრულებით, არაკეთილსინდიერი ან/და გაჭიანურებული შესრულებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი:

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით და ა.შ.) და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

7.2. მხარე,რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

7.3. თუ აშკარაა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარე დაუძლეველი ძალის ზემოქმედების გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მხარეები ცალკე შეთანხმდებიან ამ ხელშეკრულების შესრულების პირობებსა და ვადებზე.

8. ხელშეკრულების მოქმედება:

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. დასკვნითი დებულებები:

9.1. მხარეებს შორის ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი ვალდებულების შესრულება გადააკისროს მესამე პირს.

9.3. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების შეცვლა ცალმხრივად, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დამკვეთი :	შემსრულებელი:
ირაკლი კირცხალია (პ/ნ 01031005361) დირექტორი : ირაკლი კირცხალია	შპს „გრიინ ბილდერსი“ Green BuilDers ს/ნ: 402118686 მის.: ქ.თბილისი, გ.დოლიძის ქ. #26 ს.ს: „თიბისი ბანკი“ ს/ა: GE73TB7766936080100011 დირექტორი ც.ჯაფოშვილი



ხის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია

შპს "Green BuilDers"

08.03.2019

ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი #26, II სართული, ოფისი #10,
საკონტაქტო ნომერი 568 – 37-84-48; E-mail : GreenBuilDers2019@gmail.com

დიდი ზომისა და ასაკის ხეების გადარგვას ხშირად მიმართავდნენ მწვანე მშენებლობაში, როდესაც სურდათ ძველ ნარგაოებში აღედგინათ გამხმარი ან დაზიანებული მცენარეებით შექმნილი ხარვეზები, ანდა ახალი ობიექტის გამწვანების პროცესში სწრაფად მიეღოთ დეკორაციული ეფექტი.

ეს სამუშაოები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული საუკუნის მიწურულს. ამ დროს გადასარგავი ხეების სახეობები, მათი წარმოშობა, ხნოვანება, ხარისხი და ზომები, ასევე, ზრდის პირობები, გადარგვის დრო და ხერხი იმდენად თავისებული იყო, რომ კარგ შესწავლასა და პრაქტიკაში შემდგომ გამოყენებას მოითხოვდა.

დიდი ხეების გადარგვის რამდენიმე მეთოდი არსებობს,ესენია :

1. მიწის კომით ხის გადარგვა;
2. ანტიტრანსპირანტების გამოყენებით;
3. დეფოლიანტების გამოყენებით;

დღეისობით ყველაზე მეტად გავრცელებულია ხეების გადარგვა მიწის კომით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რაც უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კომში ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელი.

დიდი ზომის ხეების გადარგვისას მიწის კომის და მასთან ერთად ფესვთა სისტემის შესანარჩუნებლად გამოიყენება სხვადასხვა შესაფუთი საშუალება : ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის კონსტრუქციები, ჭილოები და სხვა.

3.ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე, სარგავის ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაეხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

4.ხის ნიადაგიდან ამოღება

დიდი ზომის ხის ნიადაგიდან ამოღება ხდება :

- 4.1 სპეციალური ხის გადასარგავი მექანიზმით : ტიპიური მექანიზმი შედგება რამდენიმე რიგი ნიჩბებისაგან, რომელიც გარშემოერტყმება ხეს და ახდენს მის

დიდი ზომისა და ასაკის ხეების გადარგვას ხშირად მიმართავდნენ მწვანე მშენებლობაში, როდესაც სურდათ ძველ ნარგაოებში აღედგინათ გამხმარი ან დაზიანებული მცენარეებით შექმნილი ხარვეზები, ანდა ახალი ობიექტის გამწვანების პროცესში სწრაფად მიეღოთ დეკორაციული ეფექტი.

ეს სამუშაოები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული საუკუნის მიწურულს. ამ დროს გადასარგავი ხეების სახეობები, მათი წარმოშობა, ხნოვანება, ხარისხი და ზომები, ასევე, ზრდის პირობები, გადარგვის დრო და ხერხი იმდენად თავისებული იყო, რომ კარგ შესწავლასა და პრაქტიკაში შემდგომ გამოყენებას მოითხოვდა.

დიდი ხეების გადარგვის რამდენიმე მეთოდი არსებობს,ესენია :

1. მიწის კომით ხის გადარგვა;
2. ანტიტრანსპირანტების გამოყენებით;
3. დეფოლიანტების გამოყენებით;

დღეისობით ყველაზე მეტად გავრცელებულია ხეების გადარგვა მიწის კომით, რომელსაც მთელი რიგი უპირატესობები აქვს, რაც უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კომში ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელი.

დიდი ზომის ხეების გადარგვისას მიწის კომის და მასთან ერთად ფესვთა სისტემის შესანარჩუნებლად გამოიყენება სხვადასხვა შესაფუთი საშუალება : ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის კონსტრუქციები, ჭილოები და სხვა.

3.ნიადაგის მომზადება

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე, სარგავის ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა.

4.ხის ნიადაგიდან ამოღება

დიდი ზომის ხის ნიადაგიდან ამოღება ხდება :

- 4.1 სპეციალური ხის გადასარგავი მექანიზმით : ტიპიური მექანიზმი შედგება რამდენიმე რიგი ნიჩბებისაგან, რომელიც გარშემოერტყმება ხეს და ახდენს მის

გარშემო წრიულად ჩაბარვას. შემდეგ ხდება მისი ნიადაგიდან ამოღება ხის ფესვებთან და მიწის კომთან ერთად.

- 4.2 ხის გადარგვა ესკავატორისა და ამწეს დახმარებით: თავდაპირველად უნდა მოხდეს მიწის კომის მოჭრა, რომელიც დამოკიდებულია ხის ჯიშზე, ნიადაგის სიმკვრივეზე და ფესვთა სისტემის განვითარება'ზე, მაგალითად :
  10-15 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას კომი შემდეგი პროპორციით : 0.9 -1.0 x0.9-1.0x0.5 მ.
  16-20 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას 1.5-1.7 x1.5-1.7x0.6 მ.
  21-25 წლიანი ხისთვის საჭიროა მოიჭრას 1.2-1.4 x 1.2-1.4 x 0.7 მ.
  უფრო მოზრდილი ხეებისთვის 2.0 x 2.0 x 0.8მ.

ყუთში შესაფუთი მცენარის ირგვლივ 50-60 სმ სიგანის არხი უნდა შემოიჭრას. არხი 10-15 სმ-ით უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ამოსაღები კომის ძირია, ოთხკუთხი კომი მიწის ქვედა ნაწილი, ყუთის ზედა ნაწილთან შედარებით 15-25 სმ-ით უფრო ვიწრო უნდა იყოს.

კომს გვერდებზე უნდა შემოეწყოს 3-6 სმ სისქის ფიცრები, შემოიჭედოს ფრთხილად და მსხვილი მავთულით ჯვარედან ოთხ ადგილას შეიკრას.კომსა და ყუთის კედლებს შორის სიცარიელე ფხვიერი მიწით უნდა ამოივსოს.

შეფუთული მცენარე ავტომაშწეს კაუჭზე იმგვარად უნდა გამოებას, რომ ყუთი და მცენარის ღერო ოდნავ გვერდზე გადაწეულ მდგომარეობაში იყოს.

ამოთხრის წინ ხეს უნდა შეეჭრას დაზიანებული და ხმელი ტოტები, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში ფესვთა სისტემის უკეთესი ზრდა-განვითარებისთვის საჭიროა მოხდეს მცენარის ტოტების მაქსიმალურად შეკვეცა.

აწევისას მცენარე იღებს ჰორიზონტალურ მდგომარეობას და ასევე დაწოლილი უნდა მოთავსდეს მანქანის ძარაში ან სპეციალურად კონს ტრუირებულ ურიკა-ფორანზე. მანქანიდან ყუთში შეფუთული მცენარის გადმოღებისას გვარლი ყუთს ისე უნდა შეებას, რომ ხე ვერტიკალურად აიწიოს. იმ შემთხვევაში თუ მცენარის ზედა ნაწილი უფრო მძიმეა და დასძლევს ყუთს, საჭიროა ხის ღეროს თოკი მოებას და მოვსდოთ კაუჭს, რაც მცენარეს მისცემს ვერტიკალურ მდგომარეობას.

მოზრდილი ხის დასარგავ ადგილას ორმოს თხრიან იმ ვარაუდით, რომ კომი მიწასა და ორმოს ნაპირებს შორის დარჩეს თავისუფალი სული მცირე 50 სმ სიგანის ადგილი, ხოლო სიღრმეში 30-50 სმ. ფსკერზე ყრიან ფხვიერ ნოყიერ მიწას, რადგან ახლად დარგული ხე ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ მაღლა უნდა იყოს (დაჯდომის შემთხვევისათვის). ორმოში ფრთხილად უნდა ჩავუშვათ ყუთი და მოვაცალოთ გვერდის ფიცრები, ხოლო ფსკერის ფიცრები მიწაში რჩება, რომელიც 1-3 წლის

განმავლობაში ჩალპება და ხელს არ შეუშლის ფესვის განვითარებას. თუ ნიადაგი ფხვიერა და იშლება, ყუთის გვერდების შემოცლა არ არის საჭირო, ასეთ შემთხვევაში ფიცარი უნდა დაიხვრიტოს ბურღით რამდენიმე ადგილას.

ორმოში მოთავსებულ მცენარეს შემოეყრება შეზავებულ ფხვიერ მიწა, მაგრად შემოეტკეპნება ირგვლივ კომის მიწის შეუხებლად და აივსება ყველა ცარიელი ადგილი, რაც უზრუნველყოფს კონტაქტს ფესვთა სისტემასა და ნიადაგს შორის.

5. გადარგვის შემდგომი მოვლა

გადარგულ ხე ჭარბად ირწყვება, რომ მიწით ამოივსოს სიცარიელე. ხის ღეროს მისი სიმაღლის ნახევარზე ზემოთ, შემოეხვევა ქეჩა და მსხვილი თოკით ან მავთულით ნიადაგში ოთხ ადგილას დამაგრდება.

შემდგომ ხე უმთავრესად საჭიროებს სისტემატიურ რწყვას დილით ან საღამოთი, ნიადაგის გათხნას და გაფხვიერებას.

მისამართი :

გადასარგავი ხე-მცენარეები განთავსებულია ქ.თბილისში, ბაგებში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/011) (ს/კ: 01.14.06.007.088)

გადასარგავი ხე-მცენარეები :



კაკალი (ლათ. Juglans regia) — ფოთოლმცვივანი ხე კაკლისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 20—30 მ აღწევს, დიამეტრი 1,5 მ. შვეულად მდგომს ვარჯი ფართოდ აქვს გადაშლილი, კორომში კი ვიწროდ არის აზიდული. აქვს ლეგა, დაშაშრული ქერქი, ერთსქესიანი და ერთსახლიანი ყვავილები, კენტფრთართული, პრიალა ფოთოლი, რომელიც ეთეროვან ზეთს შეიცავს. ნაყოფი კურკიანაა (ე. წ. „კაკალი"). ბუნებრივად გავრცელებულია მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ირანში, ჩინეთში, კავკასიასა და შუა აზიაში. ამიერკავკასიაში ველურად იზრდება თითქმის ყველგან, ქმნის მცირე კორომებს, მეტწილად კი ერთეული ხეებია. მდინარისპირა ვაკეთა ტყეებში შერეულია მუხასთან, თელასა და რცხილასთან.



დიადი ბოყვი, მთის ნეკერჩხალი (Acer pseudoplatanus) — ხე ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე 40 მ აღწევს. მეტად ლამაზი გუმბათისებრი ვარჯი აქვს. გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთსა, მცირე აზიაში, კავკასიასა და დასავლეთ უკრაინაში. ჩვენში ძირითადად დასავლეთ, იშვიათად აღმოსავლეთ საქართველოს შერეულფოთლოვან და მუქწიწვოვან ტყეებში, მდინარისპირა ტერასებზე, ხეობებში, ხრამებსა და ხევებში იზრდება. ჩრდილოს ამჯანი და სწრაფმზარდია. აშენებენ ბაღ-პარკებსა და ქუჩებში. აქვს მაგარი და მკვრივი თეთრი მერქანი

- #4 კაკალი - დიამეტრით 32 სმ;
- #17 დიადი ბოყვი - დიამეტრით 30 სმ;
- #18 დიადი ბოყვი - დიამეტრით 34 სმ;
- #26 დიადი ბოყვი - დიამეტრით 33 სმ;
- #29 კაკალი - დიამეტრით 48 სმ;

ზევით მოცემული, ხე-მცენარეების გადარგვა განხორციელდება ესკავატორისა და ამწეს გამოყენებით, #4.2 მეთოდის შესაბამისად.

დირექტორი ცირა ჯაფოშვილი

ექსპერტი გიორგი ტივაძე

წერილის ნომერი:**18-01190803344**
თარიღი: **21/03/2019**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 14 მარტის #17-01190732865-18 წერილით (AR1663541; IV კლასი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადმოგზავნილი, მოქალაქე ირაკლი კირცხალიას მიერ წარმოდგენილი, დოკუმენტაცია (ექსპერტი: გიორგი ტივაძის 2019 წლის 18 თებერვლის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; 25 სმ და მეტი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავების გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს მოქალაქე სულიკო სიმაევის საკუთრებაში არსებულ მწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი: 07/011) ს.კ.: 01.14.06.007.088; ფუნქციური ზონა: სზ-6), მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მიზნით, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას ტერიტორიაზე არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-3 თავის, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებული ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა და გადარგვა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისგან წერილობით ნებართვას არ საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 ან მეტი ერთეული, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას/გადარგვას. შესაბამისად, ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი ვაშლი (#24-D=12 სმ) არის ხილ-კენკროვანი ნარგავი, მის მოჭრას ან/და გადარგვას არ ესაჭიროება ნებართვა.

ასევე, მოგახსენებთ, რომ დადგენილების მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან ტერიტორიაზე არსებული 5 ძირი დიადი ბოყვი (#17-D=30.2 სმ, #18-D=34 სმ, #26-D=33 სმ, #30-D=22 სმ, #31-D=31 სმ), 1 ძირი მინდვრის თელა (#23-D=11 სმ), 2 ძირი იფანი (#25-D=16 სმ, #27-D=10 სმ) და 1 ძირი კაკალი (#29-D=48 სმ) არის ჯანსაღი, კარგად განვითარებული ინდივიდები და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით ექვემდებარებიან გადარგვას, ასევე, ვინაიდან ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებისათვის უმჯობესია ჯანსაღი მცენარეების გადარგვა იმავე ტერიტორიაზე ვიდრე მათი მოჭრა, სამსახური გასცემს 5 ძირი დიადი ბოყვის, 1 ძირი მინდვრის თელას, 2 ძირი იფანის და 1 ძირი კაკლის იმავე საკადასტრო ერთეულში (ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი: 07/011) ს.კ.: 01.14.06.007.088) გადარგვის ნებართვას მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 დღით ადრე).

მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავის მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავის გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ 3 თვეში ერთხელ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გადარგული მწვანე ნარგავებს მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავების 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში განმცხადებელს დაევალება საკომპენსაციო რგვის განხორციელება დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. საკომპენსაციო რგვის ფარგლებში გაშენებული მცენარეების მოვლის სამუშაოების სამ წლიანი ვადის ათვლა ხელახლა იწყება ამ რგვის ჩატარების მომენტიდან.

შესაბამისად, სამსახური თანახმაა გასცეს დადებითი რეკომენდაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

ასევე, მოგახსენებთ, ვინაიდან განმცხადებელი გეგმავს IV კლასის ნაგებობის მშენებლობას, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, სადაც უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები. კერძოდ, შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი.

აგრეთვე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით (გარდა, კვიპაროსის, ელდარის ფიჭვისა და შავი ფიჭვისა).

განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- შუნქციურ ზონებს შორის საზღვარი

წერილის ნომერი: **18-0119198341**
თარიღი: **17/07/2019**
პინი: **9316**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 5 ივლისის N60-0119186139 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ვასილ ჯალაღონიას №AR1691082 განცხადებით წარმოდგენილი გამწვანების პროექტი, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, შპს „ბაგების" საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ბაგები (ნაკვეთი: 07/011) ს.კ.: 01.14.06.007.088; ფუნქციური ზონა: სზ-6 და ლსზ) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, წარმოდგენილი გამწვანების პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება") 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე მუხლებისა და 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სამსახურმა 2019 წლის 21 მარტის N18-01190803344 წერილით გასცა 9 ძირი (N: 17, 18, 23, 25, 26, 27, 29, 30, 31) ნარგავის გადარგვისა და 1 ძირი ხილ-კენკროვანი (N24) მცენარის გადარგვის ან/და მოჭრის ადმინისტრაციული დაპირება, ხოლო დანარჩენი ნარგავების პირველად მდგომარეობაში დატოვების ვალდებულება დაადგინა.

შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ'' ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილებით №57 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' მე-3 მუხლის 36-ე პუნქტის, 30-ე მუხლის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა'' ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის თ^1 ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ასევე, 45-ე მუხლის 31-ე, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ასევე, ქალაქი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის დადგენილებით №13-35 დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ'' მე-3 მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ, ასევე ინფორმაცია გადასარგავი ან/და მოსაჭრელი მწვანე ნარგავების თაობაზე, განმცხადებელმა **უნდა წარადგინოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.**

აქედან გამომდინარე, ვინაიდან წარმოდგენილი გამწვანების პროექტით გათვალისწინებულია დამატებით 5 ძირი მწვანე ნარგავის (N: 3, 4, 21, 22, 28) გადარგვა, რაც ეწინააღმდეგება 2019 წლის 21 მარტის N18-01190803344 წერილით განსაზღვრულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების ერთ-ერთ პირობას (ნარგავების პირველად მდგომარეობაში დატოვება, გარდა N: (N: 17, 18, 23, 24, 25, 26, 27, 29,30, 31 მცენარეებისა), საჭიროა განმცხადებელმა მიმართოს სსიპ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და ზემოაღნიშნული მოთხოვნა დააყენოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის სტადიაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და დადგენილების 21^1-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით დიდი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავ(ებ)ის (რომელიც აღემატება 25 სმ-ს) ბუნებრივი გარემოდან ამოღება/დარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას, ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელი გეგმავს ასეთი ნარგავის(ების) გადარგვას, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ პირისგან, ვისაც გააჩნია გადარგვისთვის საჭირო სპეც. ტექნიკა და განახორციელებს შესაბამის სამუშაოს.

ამდენად, იმისთვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული გარემოება.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი